ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №131

ქ.ბათუმი 27 ივნისი, 2023 წელი

ერთის მხრივ აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი დეპარტამენტის უფროსის მამუკა თურმანიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შ.პ.ს **„გეპა“** წარმოდგენილი დირექტორის **გელა პატარაიას** სახით, შემდგომში „მიმწოდებელი“, „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის “ს[1]” ქვეპუნქტის და შესაბამისად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება.

1.1. **წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 1 (ერთი) ერთეული პრინტერის შეკეთება CPV კოდი - 50300000.50323000 . მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის, მათ შორის დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 220.00 (ორასოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს. გამარტივებული შესყიდვა.**

1.2. ინვოისი თან ერთვის და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მიღება-ჩაბარება.

2.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამსახური.

2.3. მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული მომსახურებისათვის.

2.4.მომსახურება ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.5.შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

2.6. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურს.

3. გარანტია.

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას გაწეულ მომსახურებაზე.

3.2.მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან 3 სამი სამუშაო დღის ვადაში განახორციელოს შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე ხარვეზის აღმოფხვრა.

3.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი

ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება.

4.1.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3.ნებისმიერ იცვლილება,რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა.

6.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 10% არაუგვიანეს 10 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

6.2.შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს მიწოდების ვადების დარღვევისათვის პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა და მისი პირობების შეუსრულებლობა.

7.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

7.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

8. ფორს-მაჟორი.

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. სხვა პირობები.

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

9.2ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

9.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის, ან ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9.4.ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

9.5.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,ინახება ელექტრონულად ორმხრივად ხელმოწერილი და გააჩნია იურიდიული ძალა.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

10.1. მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადებიდან 2023 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

10.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
ქ.ბათუმი ივ.ჯავახიშვილის ქ. №72ა
აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების
დეპარტამენტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 538 333

დეპარტამენტის უფროსი:

მამუკა თურმანიძე

Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.

Digitally signed by Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.
Date: 2023.06.27 15:12:10 +04'00'

„მიმწოდებელი“
შ.პ.ს „გეპა“
ქ.ბათუმი, ჭავჭავაძის ქ.№90
საიდ. კოდი: 445 506 587
მიმღები ბანკი ს.ს „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGGE22

ანგარიშის ნომერი:
GE92PC0033600100053916
დირექტორი:
გელა პატარაია

ინვოისი

კომპანიის ს/კ 445506587

თარიღი: 6/22/2023
ინვოისის №: 2073
გადახდის ვადა:

გადამხდელი: **აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწ. დაწეს**
. - საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
საიდენტიფიკაციო კოდი: 245538333
მისამართი: ბათუმი

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	პრინტერის გაწმენდა და ქაღალდის მიმწოდებლის შეკეთება	სხვა	1	80.00	80.00
2	პრინტერის თერმოფირის და რეზინის ლივლის შეცვლა	სხვა	1	140.00	140.00
		ჯამი (GEL):	**2.00**		**220.00**

საბანკო რეკვიზიტები

მიმღები: შპს გეპა
ბანკის დასახელება: პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის ნომერი: GE92PC0033600100053916

ხელმოწერა

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **2023 წელი.**

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, 1 (ერთი) პრინტერის შეკეთების (CPV კოდი 50300000) გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით 2023 წლის 27 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის №131 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ შ.პ.ს „გეპა“-სთან (ს/კ-445506587) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დეპარტამენტის უფროსი: მამუკა თურმანიძე

Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.

Digitally signed by Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.
Date: 2023.06.27 15:12:38 +04'00'